მუშის განთავისუფლება
თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს
ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ... | |
| 5 | 2 50 | 1 25 | [illegible] | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |

შ ი ნ ა ა რ ს ი:
1) ცარიელი „დუმა"! ცარიელი „თავი" და „იოანე ოქროპირი. 2) ფელეტონი: ცენტრალიზმი თუ დეცენტრალიზმი. 3) ჩვენებურ ს.-დემოკრატებს. 3) მანიფესტაციები და მიტინგები პეტერბურგში. 3) რუსეთი. 4) უცხოეთი. 5) დეპეშა.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს. 2—ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ა დ რ ე ს ი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა, № 117.

№ 24 ოთხშაბათი, 5 ივლისი, 1906 წ. თბილისი № 24

ვუჩვენებთ ჩვენ აგენტებს პროვინციებში, რომ დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნონ ანგარიში წინანდელი ნომრებისა და დროზე მოგვაშველონ მისი ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევწყვიტოთ თქვენთან გაზეთის გზავნა.

ჩვენ მზად ვართ დავუთმოთ ჩვენი გაზეთის პატარა კალონები **მუშის**, მწარმოებლის მიერ გამოცხადებულ პროტესტს მჩაგვრელთა წინააღმდეგ და ამით ხელი შევუწყოთ მუშების დიად ბრძოლას სახელმწიფოსა და კაპიტალის წინააღმდეგ.

## ცარიელი „დუმა"! ცარიელი „თავი" და იოანე ოქროპირი.

სოციალ-დემოკრატებს რომ ჰკითხოთ, რათ ხართ პარლამენტარულ იდეების უდაბნოში სიტყვის წარლვენის მომხრეო, გეტყვიან, რომ ისინი საარჩევნო ტრამპლინის მომხრე არიან საპროპაგანდო მოსაზრებით, პარლამენტის მომხრე არიან საგიტაციო მოსაზრებით საარჩევნო ტრამპლინის, უფლების მომხრე იმიტომ არიან ეს სოციალ-პოლიტიკური პედაგოგები, რომ მათი უსირცხვილო თქმით არჩევნებს დიადი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს, კარგი მოუვიდეს თუთუყუშების თავს კარგ აღზრდას ისინი აძლევდენ საარჩევნო გარყვნილების ვაკხანალიის დროს.

აგიტაცია პარლამენტის ტრიბუნიდგან! კარგი და პატიოსანი.

როგორ შეასრულეს ეს თეატრალური როლი პარლამენტში?

როგორ და ძლიერ სა—მარ—ცხვი—ნოთ. ჩვენთვის, მუშა ხალხისათვის და არა თავისთვის, რადგან სიტყვა სირცხვილი ამოშლილია სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკანობის ლექსიკონიდან. ისახელა თავი მაუდის ენიანმა ჯაფარიძემ, ისახელა თავი რამიშვილმა დაუსრულებელი ლუღლუღით: „პროლეტარიატი", „ერთად ერთი პარტია სოციალ-დემოკრატია", „მთელი რუსეთის სახელით", „ჯამუში", „პოლიცია", „ხულიგანი", „მარქსი", „ისტორია" და „რკინის კანონი" და სხვა. ისახელა თავი **ნოემაც**, შეადგინა პარლამენტის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქცია ერთნახევარ წევრისაგან შემდგარი მისი წინამძღოლობის ქვეშ. კარგი ჯარი ჰყავს—ღირსეული და ღირსეულია წინამძღოლიც. ცეზარი ამბობდა: „სჯობს სოფელში პირველობა ქალაქში მეორობასო".

**ნოე** ამბობს: „სჯობს უნიჭოთა შორის პირველობა ნიჭიერების ამხანაგობასო".

მართალია, ნოე.

მაგრამ ნოეს დაფნის გვირგვინმა ძილი დაუფრთხო წერეთელს.

შესდგა თავისი „სოციალისტური" ფეხი ბურჟუაზიულ ტრიბუნაზე და დაიწყო ქადაგება ეკლესიაში, რადგან თავი წარმოიდგინა იქ, სადაც მორჩილი მართლმორწმუნენი უსმენდენ ღვთაებრივ ქადაგებას გამსჭვალული მარქსის თაყვანის ცემით, მმოსაობით და ალსავსე ღრმა სიყვარულით წინასწარმეტყველ (უნდა იყოს დეპუტატი) წერითლისადმი.

ქადაგებდა ღვთის, ე. ი. მარქსის სიყვარულზე, ქადაგებდა მის წმინდა ერთად ერთ სოციალ-დემოკრატიულ ეკლესიაზე, ე. ი. პარტიაზე, ქადაგებდა პრო—ლე—ტა—რი—ატ—ზე, მარქსიზმის სამწყსოზე, ქადაგებდა „სოციალ-დემოკრატიის მიერ მოხდენილ რევოლიუციაზე", ქადაგებდა რეაქციის „ბოროტ სულებზე", რომელთა რიცხვში კადეტები და „ტრუდოვიკები" შედიოდენ და სოციალ-დემოკრატია კი გამომდინარეობდა, ქადაგებდა დაჩაგრულთა და პროლეტარიატის „მდგომარეობაზე", (бытіе) და ამ „მდგომარეობის" „დანაშენზე", (надстроика) დუმაზე, რადგან თავი ალაპში წარმოედგინა, ქადაგებდა თავისი სასაცილო „მდგომარეობით" დუმის დანაშენზე, ე. ი. თავის თავზე ქადაგობდა ყველაფერზე ისე გულ-მხურვალედ, გატაცებით, რომ ავიწყდებოდა თავისი „დანაშენი" პარლამენტი და პარლამენტზე „დანაშენი" თავისი თავი, ავიწყდებოდა, რომ მისი პარლამენტის მრევლი გარედ გავიდა, ავიწყდებოდა, რომ პარლამენტის წირვა გამოვიდა და მხოლოდ კედლები უსმენდენ.

Нѣкій поваръ грамотѣй вдругъ
забѣжалъ въ Государственную
Думу.
Попалъ на парламентскій стулъ
и наглупилъ на всю Европу
сдуру.

## ახალი ამბავი

არდაგანიდან ტელეგრამით იტყობინებიან, რომ 2 ივლის არდაგანის საპყრობილიდან გაიქცენ 6 ტუსაღი, რომელთაგანაც 2 დაჭერა მოასწრეს.

— უმუშაოთ დარჩენილთა ბიურომ გადასწყვიტა ამ დღეებში შეუდგეს მუშაობას. თანაც წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას; რომ სამუშავოსათვის არ კმარა ამას წინათ გადადებული 21,000 მ. თანხა, აუცილებელი საჭიროა კიდევ მაგრამ ვერ დასჭრა. უცნობები მიიმალნენ, ტყვია სამაგიეროთ მოვხდა ფეხში ერთს გამვლელს მიხ. ვარგავსკის.

— 1 ივლისს 4 საათზე ნობელის ფირმის არტელშჩის მანთაშევის ქუჩაზე თავს დაესხნენ რამდენიმე შეიარაღებული კაცი წაართვეს 19,000 მანეთი, რომელიც მუშებისთვის უნდა დაერიგებიო და შემდეგ არხეინათ მიიმალნენ.

— ეპისკოპოს ლეონიდს წინადადებას აძლევს სინოდი დაითხოვოს მღვდ. გიორგაძე, რომელმაც ქართველი სამღვდელოების სახელით დეპეშა გაგზავნა, რომ ახლად დანიშნული ექსარხოსი არ ჩამოვიდეს საქართველოშიო.

— სარაჯოვის მუშების მოთხოვნილებანი უკვე დააკმაყოფილეს და 4 ივლისს უკვე შეუდგნენ სამუშაოს.

— როგორც ბათუმიდან გვატყობინებენ 1 ივლისს 1 საათზე ბათუმის ბანკის განყოფილების ვექილმა შეატყობინა ჯარის უმფროს რომ მარიინსკი პროსპექტზე სდგანან ორი საეჭვო პირი. ჯარების უმფროსმაც გამოგზავნა ორი ყაზახი, რომელთა დანახვაზეც უცნობები გაეშურნენ დასამალავათ ერთმა ყაზახმა ერთს 3 ჯერ ესროლა თოფი ამას მაინც დაუმატოს 6 ათასი მანეთი.

— ივლისს 1 საათზე ქალაქის გამგეობაში გამოცხადდენ უსაქმოთ დარჩენილი მუშები და მოსთხოვეს ქალაქის გამგეობას დაუყოვნებლივ სამუშაოს გახსნა. რადგან უსაქმოთ დარჩენილი მუშები უკიდურეს მდგომარეობამდის მივიდენ ქალაქის გამგეობა უპასუხა, რომ ქალაქს თფილისს არ შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა უსაქმოთ დარჩენილი მუშების მოთხოვნილებანი, რადგან მას არა აქვს ფული ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. მუშები აჩვენებდენ წყაროს საიდანაც შეიძლებს დაკმაყოფილება მათი მოთხოვნილებისა, მაგრამ ამაოთ. ქალაქის გამგეობას მუშებმა წინადადებაც მისცა თუ არ შეგიძლიათ საქმეები, როგორც რიგია აწარმოვოთ გაგვეცალეთ და ჩვენ თითონ შევუდგებით საქმის წარმოებასაო საქმე თანდათან მწვავდებოდა. კამათი ძალზედ გაგრძელდა. მუშებიდან ილაპარაკეს კიდევ რამდენიმე კაცმა რომლებმაც თავისი უკიდური მდგომარეობა აღნიშნეს და მოითხოვეს ცხოვრებაზე უფლების სახსარის მიცემა. ქალაქის გამგეობიდანაც უპასუხეს. ქალაქის თავმა აღნიშნა ქალაქის გამგეობის უფლება და უსახსრო მდგომარეობა და აღუთქვა ქალაქის თვითმართველობისაგან შეძლების დაგვარათ უმუშაოთ დარჩენიდან მოთხოვნილებათა დაკმაყობილება.

— ქალაქის გამგეობა სთხოვს თბილისის პოლიციმეისტერს, რომ მან გადაახდევინოს სახლის პატრონებს 5001 მ. და 50 კ. რომლის პირობით ქალაქის გამგეობამ უნდა მისცეს ვეჩხაიზერს და ხოდორსკის რომელთაც რამოდენიმე ქუჩებზე იმუშავეს. 1905 წელს თავიანთი ხარჯებით

— ორთაჭალაში მირზოევის მამულში აღმოუჩენიათ ფილოქსერა მიიღეს ზომები, რომ ავადმყოფობა არ გავრცელდეს.

— თბილისის გუბერნატორი სთხოვს ქალაქის თავს, რომ რადგან ქალაქის ხმოსნების ვადა გადის და ახალი არჩევნები უნდა მოხდეს, დანიშნოს მან დრო, როცა ასეთები მოხდება. ხოლო საარჩევნო სარაიონო კრებების დანიშვნა უბნებში იმის ე. ი. გენერალ გუბერნატორს გადაეცეს.

## ჩვენებურ ს. დ—ებს.

იყო ის დრო როდესაც ყველანი სოც.-დემოკრატების პროგრამმას თანაუგრძნობდენ, ვითომც ისე დროებამ მოიტანაო იძახდენ. მეც ძალაუნებურად ავყევ ფეხის ხმას და წამოვცდა: «მეც ს-დემოკრატი ვართქო" მოვრჩა და გათავდა თუმცა ჩემი გონება სულ სხვასა გრძნობდა

ნამეტნავად მას შემდეგ რაც თანდათან ღვიარეს თავიანთი გულის ნადები. სხვათაშორის მე მწამდა წმიდა „თავისუფლება“, მაგრამ. როგორც ს.-დ—ები გაიძახოდენ თავისუფლებაზედ როგორც მიტინგებზე ქადაგებდნენ, მე რაღაც ქურქოლა დამიელიდა და ვეკითხებოდი ჩემს თავს, ეს სწორეთ ამ ვაჟბატონის გამოგონილი „თავისუფლება“ თუ არისთქო და მქონდა იმედი რომ ჩემს „თავისუფლებასაც“ განმარტებდა ვინმე, მაგრამ მარცხი არ მოგვცესთ, თურმე ნუ იტყვით ს.-დემოკრატების ლიდერებში და მათ სახარებაში ადგილი არა ჰქონია იმ დიად სიტყვას. (ნეტარება მას ვინც ეს პატარა და დიდმნიშვნელოვანი სიტყვა გამოეკვლიოს). მიტინგების დროს როგორც მოგეხსენებათ სხვადასხვა სორტის ადამიანები ბრძანდებოდნენ. წამოდგებოდა ერთი ვინმე და მოიწვევდა ორატორებს სასალაპარაკოთ. ვინც კი დაემზადებოდა სალაპარაკოთ ჯერ ჩვენებას ჩამოართმევდენ, რომელი ჯურის კაცი ხარო გკითხავდნენ მე ს.-დ—ი ვარო გაისმოდა ჰაერში. ეხლა მეც მომეცით ნება ლაპარაკისო, გაისმოდა იქითა მხრიდან, შენ რომელ პარტიას ეკუთვნიო, შეეკითხებოდა უფროსი. მე, მე ს.რ—ი ვარო. რაიო!! არიქა ჯაშუში შემოგვეპარაო, დავიღუპენითო, ფრთხილათ იყავით მუშებო არც ერთ პარტიას არ გაჰგონოთ, თორემ დაიღუპებით სულით და ხორცითო. საკვირველი მოვლენა ის იყო კიდევ მიტინგის დროს რეზოლიუციის შემუშავების შესახებ სჯა-ბაასის შემდეგ თავმჯდომარე ამოიღებდა ჯიბიდან უკვე წინადღით შემუშავებულ რეზოლიუციას და წაიკითხავდა: აი ამხანაგებო, ესეც რეზოლიუციაო. წაიკითხავდა ისეთს რეზოლიუციას, რომელიც დიდად განსხვავდებოდა იმ დღის შინაარსიდგან. შემდეგ შეეკითხებოდენ ხალხს; ვინ არის ამის წინააღმდეგიო. ვინ იქნებოდა ისეთი, რომ უარი განეცხადებია, თუ სიცოცხლე სწყუროდა. ესე თავმოჭრილსავით დაგვათრევდენ ორი სამი კაცი, თითქოს ამათთანა პატრონი აზრების არ მოიძებნებიან დედა-მიწის ზურგზედო. ამისთანა სიტყვის შეზღუდვა მაკვირვებს. მაშ ბატონებო ისე გამოდის, რომ ბატონი რასაც იტყვის ის არის წმიდათა-წმიდა. მაშ მბრძანებელი ქვეყნის ერთია სხვანიკი ყმანი, მონანი. ამისთანა თავისუფლება თუ უკაცრავად არ ვიყოთ ცოტა ჩრდილოში შეინახათ, მზემ არ მიაშუქოს თავისი მწვავი სხვები, თორემ ააჭრელებს და დაგიმახინჯებსთ. გაჩდა ამისა ს. დ-ს აზრით უაპეკუნოთ და უზაკონოთ კაცის ცხოვრება შეუძლებელიაო. ერთი ჩაუფიქუდით რა მარგალიტი სიტყვებია. აფსუსია არ არის ამისთანა აზრის პატრონნი და მქადაგებელნი ღირსნი არ იყვნენ თაყვანის ცემისა? სირცხვილი თქვენი ორატორებო და ბელადებო ს. დ-ა. ქადაგება ძველი წყობილება არ ვარგაო და ეს მთავრობა უნდა გადავაყენოთო და ახალ მთავრობას კი ახვევთ თავს საწყალ დაბეჩავებულ ხალხს, მაგრამ ერთი გვიპასუხეთ ეს „ზაკონები“, ბელადი თავისი პარლამენტით რაარის, თუ არ პიროვნების შეზღუდვა. შებოჭვა, შეშინება და დაბეჩავება. ისა სჯობია, რომ, უფრო გულ ახდილათ განცხადოთ, თუ ძალა შეგწევთ. აგერ რამოდენი წელიწადია 40 წ ევროპაში პარლამენტია. სად არის თქვენი სოციალიზმი? მიპასუხებთ ადრე არისო, როდესაც გაღატაკება ხალხი სოფლათ და ქალაქათ და ორიოდე კაცის ხელში სიმდიდრე თავს მოიყრის მაშინ ძალა უნებურათ განვახორციელებთ სოციალიზმსო. მაშ ვერ მოსწრებია კაცობრიობის მუშა ნაწილი სილატაკის სიიდან გამოწერას. მოგახსენოთ ძალიან დიდი დანაშაულობა მიგიძღვისთ ბბ. ბელადებო ს.-დემოკრატიისავ ხალხის წინაშე. როდესაც თქვენი სწავლა ქცევით აფერხებთ ხალხის რევოლიციონურ ლტოლვილებას ნამდვილი სოციალიზმისაკენ. ვუცხადებ თანაგრძნობას გაზ. „მუშას“, როგორც გამომხატველს ნამდვილ თავისუფლებისას. აგრეთვე ვუცხადებ უკმაყოფილებას ლამპრის რედაქციის უმფროსებს, როგორც შემზღუდველთ სიტყვის თავისუფლების და ძალ-მომრეობის მქადაგებლებს. სულით და გულით გისურვებთ ამხანაგებო, რომ არ დალეოდესთ ძალა ხალხში შეგნებული რევოლიუციის ცეცხლის ასაგზნებლად, რომელიც ერთად ერთი მოუტანს შვებას სოფლის და ქალაქის მუშა ხალხს!!

უაპეკუნო.

## მანიფესტაციები და მიტინგები პეტერბურგში.

25 ივნისს ბევრ ადგილას პეტერბურგში მოხდა პოლიტიკური მანიფესტაციები წითელი დროშით და რევოლიუციონურ სიმღერებით. კავალერიის პატრული დათარეშობდენ სულ ქალაქში და არბევდნენ მანიფესტანტებს: ნიკოლაევის ხიდზე საღამოს ცხრა საათზე, აურეველმა ბრბომ მანიფესტანტებმა აჩერებდნენ ტრამვაებს და წითელ დროშისთვის აძლევინებდნენ სალამს: „თავი დაუკარით წითელ დროშას, განმათავისუფლებელ მოძრაობისას, ხალხიც ასრულებდა ამ თხოვნას. მალე გაჩნდა არტილერიის მცირე გუნდი და [illegible] მანიფესტანტები სხვა ადგილებში მანიფესტანტები ეცემოდნენ ტრამვაებს, ისროდნენ ქვებს ცხენის რკინის გზაზე. რამდენი აურეულობა იყო მეტადრე ზაბალკანის პროსპექტზე. ბუხოვის ხიდთან მზათ იდგა ერთი ესკადრონი ჟანდარმებისა. ვასილიევის კუნძულზე და პეტერბურგის მხარეზე თითო მთრიგ [illegible] გარადავოის მოუყვნეს ორორი შეიარაღებული თოფით. სალდათები.

ღამის 11 საათზე 26 ივნისს მეცხრე როჟდესტვენსკის ქუჩაზე მოგროვილი აურეველი ბრბო ადგაფის კარებიდან მე 32 ნომრის სახლისა გამოვიდა აფიცერი-პარუჩიკი და მიმართა ხალხს სიტყვით აფიცრის იქ გამოჩენამ და მისმა სიტყვამ რევოლიუციონურ ხასიათისა, მიიქცია პოლიციის ყურადღება. უკანასკნელის მხრივ იყო მიცემული განკარგულება: შეეჩერებინათ ორატორი და თუ უარს იტყოდა შეეპყროთ. ხალხი საშინლად აღელდა. გაისმა საშინელი ყვირილი. ოფიცერმაც თავის მხრივ წინააღმდეგობა გაუწია, თავის თავის დასაჭერად თხოულობდა მეორე აფიცერს გოროდოვოის ესროლეს ქვა. ეს საკმარისი იყო, რომ ხალხმა დაიწყო დაგებულ ქუჩიდან ქვის კრება და დაუწყო სროლა პოლიციელებს. ბოქაულ ივანოვის განკარგულებით გამოწვეული იყო ცხენოსანი ჟანდარმები, ამათ გამოაყოლეს კაზაკები და 3 როტა პოლიციელებისა. ხალხი განრისხებული და-

# ფელეტონი

## ცენტრალიზმი თუ დეცენტრალიზმი.

არსებობენ ორგვარი ისტორიული მისწრაფებანი. ერთნი მათგანი თავის თავად ხელს უწყობენ ხალხის შეერთებას სხვა და სხვა ტომებისაც კი და მყოფთ სხვა და სხვა ისტორიულ პირობებში; მეორეთ კი არა აქვთ ამისთანა შემაერთებელი თვისება და მათ გადაწყვეტის დროს საჭირო განთავისუფლებული, სპეციალური ღონისძიება იმისთვის, რომ დამყარებულ იქმნეს სხვა და სხვა ხალხთა შორის, ერთგვარი პოლიტიკურ — პირობებში მყოფთაც კი,—საერთო მოქმედება. პირველი კატეგორიის ამ მისწრაფებათა ეკუთვნის სოციალიზმის პროპაგანდა და მის გავრცელება ხალხში; მეორე კატეგორიას კი ეკუთვნის კითხვა ნაციონალურ თვითმმართველობისა ანუ ავტონომია, ე. ი. კითხვა საჭიროებაზედ, რათა ყველა ერმა შეირჩიოს, ანუ ახლად მოიპოვოს ისეთი პირობები რომელიც ხელს შეუწყობენ შეით- [illegible] დიდი სა- სოცია-

ექვს გარეშეა, რომ მოყვანილი ისტორიული მისწრაფებათა (ინდივიდუალური და საერთო თვისებისა) გადაწყვეტა დამყარებულია უპირველესად მწყობიერ ჩარებაზედ შეგნებულ ძალებისა, მათ რაოდენობაზედ, და თვითშემეცნებაზედ. შეგნებულ ჩარევას შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს წმიდა ნაციონალურ მოძრაობასაც კი; ინდიფერენტიზმს შეუძლია შეაფერხოს სრულიად კაცობრიული მოძრაობაც კი, როგორიც არის სოციალისტური.

ცალკე ტომთა ინდივიდუალიზაციის ინტერესების მედიდურ სურათს წარმოგვიდგენს ბალკანეთის ნახევარი კუნძული, სადაც რამდენიმე ასი წლის განმავლობაში გრძელდება განმათავისუფლებელი ომები და სადაც ჯერაც კიდევ ვერ განთავისუფლებულან ოსმალეთის სულთანის მფლობელობისაგან. საბერძნეთი, სერბია, ბოლგარია, კრიტი, მაკედონია და სხვა პატარა კუნძულები ბევრჯელ ამდგარან ოსმალების მონობის წინაშე, მათ დაჰხარჯეს დიდი ენერგია, გმირული გაბედულობით და ნამდვილი მოქალაქობრივი თავგანწირვით მიჰქონდათ მათ თავისუფლების სამსხვერპლოზედ თავის სიცოცხლე და კეთილ დღეობა თავიანთ ოჯახებისა. მაგრამ მიუხედავად ამისა, გადიან საუკუნოები, და ეს მხარე მუდამ გახვეულია რევოლიუციის ალში, აქ მუდამ სდუღს დიდი სიძულვილი ბრძოლით-დამპყრობელთადმი, მუდამ ისწრაფიან განთავისუფლდნენ სხვის უღლისაგან, რომელმაც დაარღვია, მთელი ცხოვრების წესი დამორჩილებულ ხალხებისა, მიიყვანა იგინი მონობამდის და წაართვა მათ უფლება თავიანთ სიცოცხლეზედ და ქონებაზე. რისთვის იბრძოდნენ ამდენი ხანი და რამდენ ხანს კიდევ იბრძოლებენ ბალკანეთის ნახევარ კუნძულის ერნი? რისთვის იბრძვიან ისინი ასეთი სიმკაცრით და რატომ სიმართლის და თავისუფლების მოტრფიალენი აქამდის შეძრწუნებით შესცქერიან ცალკე ტომების ბრძოლას ყოფილ მძლავრს და კიდევ მრისხანე ოტომანთა იმპერიასთან? რისთვის გრძელდება ასე დიდ ხანს გაბედული ბრძოლა სომეხთა და მაკედონელთათა, და ჯერ კიდევ არ ვიცით როდის მოისპობა ეს ხოცვა ჟლეტა სამუდამოდ და ბალკანეთის მიწა აღარ შეისვრება მებრძოლთა სისხლით?... ჩვენ ვიცით რომ ისტორიული კითხვების გადაწყვეტა არ არის ადვილი, და ერთი რომელიმე მიზეზით არ აიხსნება შედეგი ხალხთა ცხოვრებისა და მოქმედებისა, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაფერხეს ჩვენ უნდა მოვძებნოთ ის მიზეზი და მივილოთ მხედველობაში ის მიზეზთაგანი, რომელიც იქცევს ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას სხვადასხვა მოვლენების გასინჯვის დროს.

ამისთანა მიზეზი ბალკანეთის რევოლიუციონურ მოძრაობისა არის განცალკევება და ცილაობა თურქთა მიერ დაპყრობილ ერთა შორის, რომლებიც თან სდევნიდნენ მათ განთავისუფლების საქმეს. მართალია ამ ბრძოლამ შეჰქმნა დამოუკიდებლობა საბერძნეთისა, რუმინიისა, სერბიისა, ბოლგარიისა' კრიტისა...., მაგრამ ამ განთავისუფლებისათვის განვლო მთელმა საუკუნოებმა, მცხოვრებთა რიცხვი ამ ნახევარ კუნძულისა აღემატებოდა მტერთა რიცხვს, რომელიც დაუპატიჟებელი სტუმარი იყო მის პატრონებთან, ე. ი. არ ჰქონდა ისეთი მარჯვე პირობები ბრძოლისათვის, როგორც ადგილობრივ მცხოვრებთ. და ეხლაც ქი ყოველ ჟამს შესაძლებელია ასტყდეს სისხლის ღვრა ამ დამოუკიდებლობისათვის და ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია როდის მოისპობა ეს მუდმივი ამბოხება და მთე-

ხედა კაზაკებს და დაუშინეს მათ სეტყვასავით ქვები. აფიცრის ბრძანებით კაზაკებმა ხმალ ამოღებული იერიში მიიტანეს ხალხზე. შეიქნა ყვირილი. ხალხი გაიფანტა. კაზაკები ეწეოდნენ გაქცეულებს და ხმლით სცემდენ. ამ დროს ხალხმა მოშორებული ორატორი აფიცერი შეიპყრეს, ეს იყო პორუჩიკი არვადი ბოში, და კონვოის ქვეშ გაისტუმრეს კომენდანთან. ხელ მეორედ ხალხი შეგროვდა მთაწმინის ქუჩაზე. გაისმა ყვირილი და სტვენა. აფიცრის ბრძანებით ყაზახები მივარდენ ამ გროვას, მაგრამ აქ წინააღმდეგობა გაუწიეს. აყარებული ქვა რომლის წინ და წინვე იყო დამზადებული, დაუშინეს კაზაკებს, ბევრი მათგანი მძიმედ დაშავდა. კაზაკები მოემზადნენ სასროლათ, გაისროლეს ჯერ ჰაერში, ხალხი გაქცევით შველოდა თავის თავს, ზოგი შევარდნენ სახლში № 16 მთაწმინის ქუჩაზე. კაზაკებიც დაეცნენ ამ სახლს, მაგრამ აგაც იგერიებდენ ქვებით, რომელსაც იგერიდნენ ზევითა ეტაჟიდან. აირია კაზაკების ზალპი და ქვების სროლა. ქუჩაში გოროდოვოები იჭერდენ თუთხმეტ თუთხმეტ კაც და ისტუმრებდენ როყდენსტვენსკის ნაწილში. იქვე გაგზავნეს დაჭრილნი და დაშავებულნი. ერთი მათგანი რომელსაც ხმლით გაუჩეხეს საზე გაგზავნეს ობუხოვის საავათმყოფოში დამის პირველ საათამდის ჯერ არ იყო გამორკვეული დაშავებულთა რიცხვი. კაზაკებმა გაამსეს რაყდენსტვენსკის ნაწილები ეზო მქრობელთა რაზმისა. ამათთან კაზაკებს მოუყიდათ ჩხუბი, აყვედრიდენ, მათ რომ რათ იღებთ მონაწილეობას არეულებაშიო. ეს ჩხუბი გამწვავდა, ყაზაკებმა დაიწყეს სროლა და მქრობელთა რაზმი იძულებული იყო დამალულიყო კაზაკებისგან.

---

# რ უ ს ე თ ი

—

მოსულა ცნობა, რომ ამ დღეებში ლებედიანსკის მაზრაში გლეხებმა აიკლეს ნაუმოვის სოფელ ვრასლოში და იგნატიევისა გუსენ პოლიანში. მამული („ნ. ძ.“)

—

—10 ივნის 9 საათს სალამოზე, 400 გლეხზე მეტმა, ელეცის მაზრაში სოფელ ჩერნავში, მივიდნენ ტოლდიკინის ტყეში და დაუწყეს ჩეხა. ამ დროს მიდიოდა ყაზახის რაზმი.

ტყის მცველებმა სთხოვეს დახმარება. ყაზახებმა მისცეს წინადადება გლეხებს რომ დაშლილიყვნენ, მაგრამ მიიღეს უარი. მაშინ ყაზახებმა დაუშინეს თოფები მოკლულია 2 გლეხი. (ნაშა ჟიზნ.)

—

25 ივნისს პეტერბურგის პოლიციის ყველა ნაწილებში დაიჭირეს 200 კაცამდე. ისინი დაამწყვდიეს პოლიციის სარდაფებში. (მისლ).

—

ამ დღეებში, ორლოვის სახელოსნოში, სახელმწიფო ქაღალდების მოსამზადებელ ექსპედიციაში, პარაკლის დროს სამეფო სახლის მრაველ-ჟამიერის წარმოთქმის შემდეგ, მუშებმა იმღერეს „საუკუნო ხსენება“ გმირებს თავისუფლებისთვის დაღუპულთ. (მისლ).

—

სამხედრო საზღვაო სასამართლომ გადაუწყვიტა: კაპიტანს კლაპიედე-კოლონს, პოლკოვნიკს ფილიპოვსკის, კაპიტანს ხარონოვს და ლეიტენანტს ლეონტიევს სიკვდილით დასჯა, ჩამოხრჩობით ამასთანავე დაადგენა იშუამდგომლოს მის უდიდებულებასთან რომ სიკვდილით დასჯა ეპატიოთ და დათხოვნილ იქმნან სამსახურიდან. ადმირალი როყდენსტვენსკი კი და სხვა დამნაშავენი გაამართლეს. (მისლ).

—

სტატისტიკური გამოანგარიშებით პირველ იანვრიდან პირველ მარტამდე ბაიკალის რკინის გზაზედ დათხოვილია 2578 მოხელე, ამათგან 1226 კაცი, პოლიტიკური მიზეზების გამო არიან დათხოვნილი.

(ნაშა ჟიზნ)

—

ქალაქ ვილნაში მოხდა კრება ვილნის გარნიზონის ოფიცრებისაა რადგანაც საზოგადოებაში დადის ხმები ვითომ მხედრობა უწყობს ხელს ებრაელთა აწიოკებას. და დგინა; თუ ვინცობა განმეორდა არეულობა, უსასტიკესათ გაწყვიტონ ამწიოკებელნი. (ნაშაჟიზნ).

---

# უცხოეთი.

—

ინგლისის პრესა ანარქისტების წინაღმდეგ.

მადრიდში მომხდარ დინამიტურ აფეთქების შესახებ, ინგლისის პრესამ მიაქცია ყურადღება, ანარქისტების მოქმედებას ლონდონში. „გაზეთი „Daily chronicl“ აღნიშნავს ანარქისტ მორელის გულ გრილობას კაცობრიულ ცხოვრებაზედ და იმ გარემოებას, რომ ამნაირი არა ბუნებრიობა, მიზნის გარეშეც წინათვე განზრახულ შეთქმულობით, ჰქმნის ადამიანს საშიშარს საზოგადოებასთვის და ამითაგან უნდა დავიცვათ საზოგადოებაო. „Fvening standard“. ამავე საგანზე ამბობს „რომ უნდა დაიღუპონ მორელისთანა ხალხი თვისივე სიკვდილით ამ ნაირია განაჩენი მაგათზე მსოფლიო ცივილიზაციისა, მაგნაირი არსებანი არიან ქირი საზოგადოებრივი წყობილებისასა ხომ როდისმე მაინც უნდა შევმუსროთ იგინი. როდემდის უნდა ვითმინოთ მათი მიკუნჭული ადგილებში მალვა და იქითგან მათი მუქარა მართველებისადმი და ხალხისადმი! თითქმის ამავე ტონით გამოსთქვა „„Pall Mall Qazetta“-მ, მაგრამ მაინც დაუმატა, რომ არ—არის ადვილი ვუჩვენოთ საერთოშორისო საშუალებანი, რომელიც გამოსადეგარი იქნებიან საერთო მტრისა, თავხედ ანარქისტებისა. ინგლისის პოლიცია ვერაფერი ვერ შეუძლიან გააწყოს რაა, რადგანაც შემოფარგლულია კანონით. ლონდონში მაგალითად ან სხვა ადგილას შეთქმულობამ ანარქისტებისამ შეიმუშავა გეგმა მაგალითად მორელისამ. ამითი არაფერი არ იცვლება დამოკიდებულება. ლონდონი ერთად ერთი ქალაქია, სადაც ანარქისტები გრძნობენ თავისუფლად, მოფიქრებულ სისხლის ორგანიზაცისათვის. „Standard“ ამბობს საბუთიანად რომ დამნაშავენი უმთავრესად, იარაღი არიან მეთაურებისა რომელნიც თავს აღწევენ დევნისაგან და პასუხის-გებისაგანაო.

ბოლოს გაზეთი გამოსთქვამს სურვილს, რომ სასურველიაო ვიპოვოთ კაცი, გულადი და მარჯვე, რომელიც დაუღალავად თვალყურს ადევნებდეს ანარქისტებს, გამოაქვე-

---

ლი მხარე თავისუფალი გახდება საძაგელი მფლობელობისაგან.—ევროპა თითქოს შეეჩვია ბალკანეთის ერების რევოლიუციას, როგორც ქრონიკულ მოვლენებს, მოურჩენელ სენს, თითქოს რაღაც აუცილებლობას, რომელიც საჭიროა პერიოდულად გაბერტყოს ხოლმე ეს მხარე რომ მერმე კიდევ დაშოშმინდეს ახალ ენერგიის და ძალების მოპოვებამდის.

მასსას გართულს თავისი ყოველ დღიური ინტერესებში არ ეინტერესება პოლიტიკური კითხვები, მათზედ არ ფიქრობს წინ და წინ მანამ არ გამოვა საბრძოლველად, რათა თავის თავი დაიცვას მტრისაგან და ის არ მოელის სხვა ერისაგან დახმარებას, ისტორიულმა წარსულმა სულ სხვანაირი შეხედულობა შეუმუშავა მათ თავიანთ მეზობელ ხალხებზედ... მაგრამ ყველა ერს ჰყავს თავისი ბელადები და მოწინავე მშრომელთა ნაწევარნი, რომლებიც რასაკვირველია თავსა დაუდგებიან ხოლმე მოძრაობას და სცდილობენ გააძლიერონ იგი. მაგრამ ეს წინამძღოლნი ხშირად ვერ გამოდგებიან ხოლმე საკმაოდ ძლიერნი; ხშირად საყოფად არ არის შეგნებული საჭიროება შეერთების და ცოცხალ სინტეზესა სხვა და სხვა ნაციონალურ ძალებისა, ხშირად ეს შეგნება არ არის საკმაო მისთვის რომ უკან გადადებულ იქმნან თავისმოყვარეობის უპირატესობის და გეგემონიის კითხვები; უფრო ხშირად ეს შეგნება ურთიერთი დახმარებისა დაიწყება ხოლმე პირდაპირი გარეგანი საჭიროების გავლენის ქვეშ, ე. ი. ძალიან გვიან, მაგ თითქმის ამბოხების წინა დღეს და ამიტომ მათ არა-აქვთ მნიშვნელოვანი შემდეგ. ხალხი არის ჯარი. ეს უკანასკნელი იწრთვნება იმისთვის რომ იმოქმედოს პირველ ბრძანების უმალვე, დაუყონებლივ. ხალხს კი, რომელიმე იმედის შეგნებისთვის უნდა ჰქონდეს დრო მის შესისხორცებისთვის, უნდა ფიქრის შემუშავება, რათა ორგანიულად შეურთოს იგი თავის პსიხოლოგიას. რანაირი დესპოტიური მართველობის ქვეშაც კი უნდა სცხოვრობდეს ხალხი მან არ შეიძლება დაჰკარგოს ნიჭი სჯისა და ცნობისა ყველა მთავრობებმა დიდი ხანია შეისწავლეს მარქსის პსიხოლოგია) და წინ და წინვე ამზადებს ხოლმე მის გონებას წარმოიდგინონ განსაზღრული ცნობები ისე, როგორც ხელსაყრელია მთავრობისთვის. რუსეთის მთავრობისთვის სასარგებლოა ურთიერთი შუღლი იმ ხალხთა შორის რომელნიც სცხოვრობენ მის სამზღვრებში, და ამიტომ რუსეთის ძირითად მცხოვრებთა შორის ავრცელებს სიძულვილს განაპირა ერთადმი და მუდამ უჩიჩინებს მათ რომ ისინი არიან ნამდვილნი დიასახლისნი და თავად პატრონი რუსეთის იმპერისა და სხვა ერები (инородцы) დიდი მტრები არიან სამშობლოსი და ხელმწიფისა (батюшки царя), მთავრობა ყოველთვის სცდილობს წაჰკიდოს განაპირა ერები ერთმანეთს რადგანაც მათი თანხმობა მისთვის სასიშია. ეს დიდი ხანია ყველამ იცის, იმაზედ ლაპარაკობენ ყველა რევოლიუციონურ პრესაში, მაგრამ უფრო ინტელიგენციას მიმართამენ ხოლმე; ხალხს ძალიან ცოტას და იშვიათათ ელაპარაკებიან ამ სერიოზული და ღრმა კითხვაზედ.

ჩვენ რუსეთის მცხოვრებთ დიდი ფიქრი გვქირს ნაციონალურ კითხვის გადაწყვეტის დროს. რუსეთის სახელმწიფოს სამზღვრებში იცხოვრობს არა ერთი და ორი ერი რომელთა ინტერესები მათი დახლართული არიან ერთმანეთში და საჭიროა მათი გამორკვევა. მაგრამ ამ დროს ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ისტორიული მაგალითები და სხვა სხვა ერების გამოსცდილობით, რომელნიც გვითითებენ ავტონომიასა როგორც ერთად ერთ ფორმაზედ, რომელსაც შეუძლიან გადასწყვიტოს ნაციონალური კითხვა. სასაცილოა ის აზრი ვითომ პროლეტარიატის საქმე არ იყოს ფედერალიზმი და ნაციონალური ავტონომია, წამოყენება ამგვარი მოთხოვნილებებისა, რომელთაც უსათუოდ უნდა შეჰქმნან ავტონომიური კლასობრივი სახელმწიფო. ამგვარი არგუმენტი დამყარებულია შევნებულ და გაუგებარ არეულობაზედ და უვიცობაზედ. ავტონომიის და ფედერალიზმის მოთხოვნის დროს მშრომელ ხალხს უდა არა კლასობრივი სახელმწიფოს დაარსება, არამედ მისი დასუსტება, ავტონომია და ფედერაცია ასუსტებს, ანგრევს იმ ცენტრალისტურ პრინციპს, რომელიც ესე გულით უყვართ უფრო ბურჟუაზიის ძლიერ ფრაქციებს. სახელმწიფო ცენტრალიზმი ყოველთვის შეერთებულია ბიუროკრატიასთან, არის ერთი კლასობრივი ბატონობის ფორმა თაგანი და ბრძოლა ამ მომაკვდინებელ, შემხუთავ ცენტრალიზმთან არის ბუნებრივი და უსაჭიროესი. ფედერალიზმი და ავტონომია ვრცელი ადგილობრივი და ოლქობრივი თვითმართველობა ანაწილებს გარეგან—თვითმომრეობულ ძალას თანამედროვე კლასობრივ სახელმწიფოსას და უახლოვებს სახელმწიფოს

ჳნებდეს ყველა მათ მისწრაფებას, და გამოაშკარაოს ხოლმე მათი მეთაურები, ესე იგი ნამდვილნი და დიდებულნი დამნაშავენი ყველასიი.

## დეპეშები

(რუსეთის სატელეგრ. სააგენ.)

**ვარშავა.** ტელეგრაფი გადმოგვცემს, რომ პროეონზკაში ლაგერიდან გაისმა სროლის ხმა, რომლის დროს ოჩიასკოვსკის ქუჩაზე ტყვით მოკლა ერთი ბავშვი. მიზეზი სროლისა გამორკვეული არ არის.

**მიტავა.** ბაუსკის მაზრაში ოთხი შეარაღებული კაცი თავს დაეცა გასაცარცვავად ღვინის დუქანს, დაამტვრიეს ქურქელი და მიიმალნენ.

**ვრეშენიჩუბი.** მეპურენი გაიფიცნენ, და მასთანავე მეუნაგრენიც.

**როსლავლ.** ოსტაპკოვიჩში გლეხები უარს ამბობენ და პურის თივის მოთიბვა მომკაზე ესოპოვიჩის მამულში. დაქირავებულია მუშები გლეხების ხარჯზე.

**კაზანი.** გუშინდელი „ეხო" გადმოგვცემს, რომ სოფელ კოესკაში დიდი აგრარული მოძრაობაა, რომლის დროს ძალიან დაზარალდა სოკოლტასკას მამული.

**ტკარსი.** რაოდენიმე შეიარაღებული გლეხი თავს დაესხა ბალაშნის სადგურს. შეკრეს დარაჯები, შემტრიეს პურის საწყობის კარები და გაიტაცეს პური.

**ვარშავა.** ქიტნის ქუჩაზე გაცარცვეს სახაზინო ღვინის დუქანი. წაიღეს 320 მანეთი.

ტორგოვის ქუჩაზე რევოლვერით დასჭრეს ჟანდარმი მოიდანოვიჩი და გამლელი ქალი.

**დონის როსტოვი.** ვლადიკავკაკაზის რკინის გზის უფროსი ბაშკოვი, რომელსაც პროვოკატორობა ჰბრალდება რევოლვერით მოჰკლეს. მკვლელები მიიმალნენ.

**ბალტა.** სავრანში ბალტის მახლობლად აღმოაჩინეს ყალბი ვერცხლის ფულის საკეთებელი სახელოსნო.

**ლოძა.** დაიკეტა გაერის ქარხანა. 2800 მუშა დაითხოვეს. გზის ზავოდის გაფიცული მუშები, ვერ შეთანხმდნენ ზავოდის უფროსთან.

## განცხადებანი.

რედაქცია სთხოვს ყოველგან ამხანაგებს, თანა-მოაზრეთ და იმათ, ვინც თანაუგრძობს გაზეთის მიმართულებას, გაუწიოს ენერგიული დახმარება: ეკონომიური და იდეური კოოპერაცია გაზეთის გამოცემის საქმეს: საღამოების გამართვით, სპექტაკლების დადგმით, ხელის მოწერის გამართვით, და რეფერატებით.

ვთხოვთ პროვინციებში გაფენტულ ხანაგებს ხელი შეუწყონ გაზეთის გაამვრცელებას, მოგვაწოდონ წერილები და კორესპოდენციები.

**ვთხოვთ ჩვენ აგენტებს პროვინციებში ფულიყოველ შაბათობით გვიგზავნონ თუ სურთ, რომ შემდეგისთვისაც მიიღონ გაზეთი.**

## არჩევის გამოცვლა

ჩვენი აგენტებისა, მკითხველებისა და ხელის მომწერთა საყურადღებოთ. ამ დღიდან ადმინისტრაცია „ნობათისა" გადადის გაზეთ „მუშის" ადმინისლრაციის ხელში. ამისათვის ყოველგვარი წერილები და ფული იქვე უნდა იქნას მიმართული. ჩვენ აგენტებსა ვსთხოვთ ანგერიშიც „მუშის" ადმინისტრაციას გაუწიოს. ყოველ წერილზე და აგრეთვე ფულიან კონვერტებზე, თუ თუ ფულის გამოგზავნის უწყებებზე მკაფიოდ უნდა იქმიას აღნიშნელი: „ნობათისათვის".

**„მუშის" რედაქციის, რომელიც ამიერიდან „ნობათის" ადრესიცაა.**

**ვთხოვთ** თვიურ ხელისმომწერლებს (თბილისში და თბილისს გარეთ) შემოიტანონ ხვედრი ფული, წინიაღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევაჩეროთ გაზეთის გზავნი

ნობათის მაგივრად გამოვა

ფუნქციებს თვით ხალხს. რამდენადაც სახელმწიფო მეტ თავისუფლებას აძლევს ხალხთა თავისუფალ ორგანიულ განვითარებისთვის მით უფრო ნაკლებ უშლიან ერები ერთ მანეთს და ქიშპობენ მით უფრო ადვილად იდგამს მეთ შორის ფესვებს თანამედროვე დიდი საერთაშორისო, სრულიად კაცობრიული იდეალები.

„ჩვენ — გაიძახიან სოციალიზმის დამამახინჯებელი სოციალ დემოკრატები — უნდა ვისწრაფოდეთ ყველა ნაციების პროლეტარიატის მჭიდრო შეერთებისაკენ." რასაკვირველია, ჩვენი საქმე შეერთებაა, მაგრამ ჩვენ უნდა გამოვნახოთ ისეთი ფორმები, რომელიც ხელს შეუწყობენ შეერთებას და არა შეეიფერებს. განა მჭიდრო კავშირი პროლეტარიატისა დამჩარებულია ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ცხოვრებაზედა. განა სახელმწიფო ძალა აერთებს საფრანგეთის ინგლისის რუსეთის და პოლონეთის პროლეტარიატს. თუ საერთაშორისო სოლიდარობა და პრინციპები ხშირად ურევენ ხოლმე სახელმწიფოებრივ ვარგებს ძალადატანებელ „შეერთებას" და თავისუფალ და ფართო საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობას. რისთვის და რად არის საჭირო დაურღვევლობა ისტორიულად შემდგარ სახელმწიფოებისა? საინტერესოა ვიცოდეთ რად და რისთვის გამხდარა ამგვარი შეერთება ჩვენმიერ სადიდებელ ფეტიშად! რა არის ცუდი ირლანდელების მისწრაფებაში? რითი სჯობია ავსტრია—უნგრეთის ერთიანობა მის თანამედროვე დუალიზმს? რითი იქნებოდა ცუდი ავსტრია—უნგრეთის ფედერაცია ეხლანდელ დუალიზმთან? რისთვის არის ცუდი ბალკანელთა სლავიანების გამოყოფა ოსმალეთის ერთიან სახელმწიფოდგან? რითი არ ვარგა ჩრდილოეთ-მერიკის შეერთებულ შტატების ჩამოშორება? რითი ემჯობინებოდა ერთიანი და განუყოფელი შვეიცარიის რესპუბლიკა ეხლანდელს დაყოფილისა კანტონებად? ჩვენ შევეძლო გაგვეგძელებია კითხვები. იქნება ეს სულ განსაკუთრებული მოვლენანი არიან? აშინ ხომ ამ გვარი მოვლენანი უფრო მეტი იქნებიან ვიდრე სხვა რაინაირიდ?

თანამედროვე სახელმწიფონი, როგორც ისინი ისტორიულად განვითარდნენ წარმოადგენენ სამაგალ, ხელოვნურ შეერთებას, რომ ჩვენ არ გვესმის უნდა გვიხადოთ მათი ცენტრალისტური შეერთება ნორმად. ამითი ის კი არ მინდა ვსთქვა რომ საჭიროა ყველა განსაზღვრული ერისათვის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა. არა ყველგან ისე უნდა მოეწყოს საქმე ისეთ პირობებში უნდა ჩასდგეს საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელნიც უფრო ხელს შეუწყობენ სოციალურ პროგრესს. ზოგან საჭიროა იქნება სრული ავტონომია, ზოგან ფედერაცია, და ზოგანაცკიდევ სამგარისი იქნება ოლქებრივი ფართო თვითმართველობა ეს ყველაფერი დამოკიდებულია მრავალ გვარ პირობაზედ. თავისუფალ დამოუკიდებელი კავშირები შიგ სახელმწიფოში სრულიად სპობენ ნაციონალურ უთოთრობას და განხეთქილებას და ამყარებენ ერთმანეთის ნდობას. ავტონომიურად მოწყობილ სახელმწიფოებში ყველა ცალკე ოლქს. ახლოვეს დაჩაგრულ ხალხთა ოლქს, პროვინციას, ერს ეძლევა უფლება თავისი საქმე თვითონვე მოაწყერიგონ დაუკითხავად ცენტრალურ მთავრობისა, ყველამ კარგად იცის ის დიდი სარგებლობა და კულტურის განვითარება იმ სახელმწიფოების. რომელთა შორისაც ცოტად თუ ბევრად განვითარებულია დეცენტრალისტური პრინციპი (შეერთებული შტატები, შვეიცარია, ავსტრალია).

ქმარა დავანებოთ თავი დოგმის თაყვანისცემას და ვსრდე წოდებულ „ბუკვოედობას" და ვისარგებლოთ ისტორიული მაგალითებით ჩვენი ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ცენტრალისტურ იდეებით იყვნენ განმსჭვალულნი აღმოსავლეთის დესპოტები, აღმოსავლეთის დესპოტები. ალექსანდრე მაკედონელი და ლუდოვიკო უპირველესი და საუკეთესო ცენტრალისტები იყვნენ, მაგრამ ჩვენ მათ ბარბაროსებს ვეძახით და არა სოციალისტებს, და სწორედ გასაკვირველია სამეცნიერო სოციალიზმის წარმომადგენლების ტენდენცია მისდიონ კლასიკურ დესპოტების პვალს.... მაგრამ ისინი ხომ მეტაფიზიკის ძუძუთი არიან აღზრდილნი და დიალექტიკა ბურუსში ახვევს მათ ტვინს....

მარტო რევოლიუციონური ბრძოლა კრებისა გაუფრთხობენ ძალს მთავრობას და ყურადღებას მიაქცევენ ხოლმე თავიანთ მოთხოვნილებებზედ და საჭიროებაზედ. მარტოკა რევოლიუციონური სოციალიზმის განვითარება ახლოვებს დაჩაგრულ ხალთა იმ დღეს, როდესაც დაჰკრამს განთავისუფლების ზარი და განიკარნები ნ მათი ბოროტობანი მაშ გაუმარჯოს ერების სოციალ-რევოლიუციონურ ძალთა მშვიდობ ფედერაციას! ჩვენ დარწმუნებულნი ვართ რომ ეს ფედერაცია იქნება საუკეთესო წ ნამდვილი მრავალი თავისუფალ ხალხთა ფედერაციისა, განთავისუფლ… აბსოლიუტურ და … მონობისაგან!

ელექტრონის სტამბა „გუტენბერგი", სასახლის ქუჩა, სახლი ქარ…